საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1750
02.11.2026

ბრძანება

1750-01-4-202611021512

გადაწყვეტილება

შპს „ოლსერვისგრუპის“ (ს/ნ: 406233552) 2026 წლის 14 სექტემბრის N01/8346 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. შესავალი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2026 წლის 14 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „ოლსერვისგრუპის“ (ს/ნ: 406233552) (შემდგომში, ასევე, - „მომჩივანი“) საჩივარი (რეგ. N01/8346), რომელიც შეეხებოდა შპს „სითიქომის“ (ს/ნ: 405197111) მიერ (შემდგომში, ასევე, - „მოპასუხე“) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევის ფაქტს (კერძოდ, კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები).

1.2. მომჩივნის პოზიცია

სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის მიხედვით, შპს „ოლსერვისგრუპი“ საქმიანობს მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მომსახურების სფეროში. კერძოდ, კორპუსის მობინადრეებს იგი სთავაზობს სამეზობლო ხარჯების მართვის სისტემას („ელექტრონული ყულაბა“), რომლის მეშვეობითაც ხდება მობინადრეთა მიერ გადასახდელი თანხების აკუმულირება, აღრიცხვა და შესაბამისი მომსახურებების საფასურის ადმინისტრირება. ასევე, მომჩივანი უზრუნველყოფს

წვდომის კონტროლის საბარათე სისტემების დანერგვასა და მართვას, ტექნიკურ მომსახურებასა და სხვა დამატებითი მომსახურებების მიწოდებას.

მოპასუხე ოპერირებს იმავე (მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მომსახურების) სფეროში და მის მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს სამეზობლო ხარჯების ადმინისტრირებას, ელექტრონული სისტემების გამოყენებასთან, წვდომის კონტროლთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ მომსახურებებს.

მომჩივნის განცხადებით, მოპასუხე შპს „ოლსერვისგრუპის“ საქმიანობის შესახებ უარყოფით და ფაქტობრივ გარემოებებთან შეუსაბამო ინფორმაციას ავრცელებდა არსებულ და პოტენციურ კლიენტებთან (მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მობინადრეები). საჩივრის მიხედვით, მოპასუხე არამართლზომიერი ქმედებებისა და ყალბი განცხადებების გავრცელების გზით ცდილობს მომჩივნის მიმართ მომხმარებელთა ნდობის შერყევას, მისი მომხმარებლების გადაბირებას და მომჩივნის ბაზრიდან განდევნას.

აღნიშნულის დამადასტურებლად მომჩივანი რამდენიმე გარემოებას მიუთითებს:

<u>ა) Whatsapp შეტყობინებები</u> - როგორც შპს „ოლსერვისგრუპი“ მიუთითებს, 2026 წლის მაისში მისთვის ცნობილი გახდა შპს „სითიქომის“ მხრიდან მომჩივნის საქმიანობასთან დაკავშირებით მცდარი და საქმიანობის დისკრედიტაციისკენ მიმართული ინფორმაციის უშუალოდ გავრცელების შემთხვევა. კერძოდ, ქალაქ თბილისის ერთ-ერთი მისამართზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეთა საერთო WhatsApp ჯგუფში შპს „სითიქომის“ სახელით მოქმედი ანგარიშიდან (შპს „სითიქომის“ ბიზნეს ანგარიში[1]) გავრცელდა შემდეგი სახის შეტყობინებები:

[1] აღნიშნული ნომრის მოპასუხისადმი კუთვნილება არ გამხდარა სადავო და WhatAspp აპლიკაციაში მითითებული რეკვიზიტების საფუძველზე აშკარაა, რომ იგი ეკუთვნის შპს „სითიქომს“

ამავე ჯგუფში, როგორც მომჩივანი მიუთითებს, იყო მათი წარმომადგენელიც (გაყიდვების მენეჯერი), რომელიც ზემოთ აღნიშნული შეტყობინების გავრცელების შემდეგ ერთ-ერთა წევრმა მონიშნა და ჰკითხა, მათ ზემოთ აღნიშნულ შეტყობინებაში მომჩივნის პირდაპირ მითითება არ ხდება, თუმცა შპს „ოლსერვისგრუპის“ შეხედულებით კომუნიკაციის კონტექსტისა და ასევე, იმავე ჯგუფის წევრის რეაქციის (შეკითხვის დასმა დაკავშირებით) გათვალისწინებით, შეტყობინება აღქმულ უნდა იქნეს როგორც მომჩივანთან დაკავშირებული განცხადება.

საჩივრის დანართებად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე, ჩანს სხვა შეტყობინება (მ.ღ.-სთან განხორციელებული კომუნიკაცია), რომელიც იმავე მისამართზე არსებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს გაეგზავნა:

აღნიშნულ შეტყობინებაში უკვე სახელობითად იყო მოხსენიებული მომჩივანი ეკონომიკური აგენტი. ამასთან, ზემოთ მითითებული შეტყობინების გაგზავნა მოხდა მას შემდეგ, რაც მ.ღ.-მ ინფორმაცია მიაწოდა, რომ ბინათმესაკუთრეთ ამახანაგობა აგრძელებდა შპს „ოლსერვისგრუპთან“ თანამშრომლობას და მათგან შესაბამისი მომსახურების მიღებას.

მომჩივანს წარმოდგენილი აქვს, ასევე, WhatAspp აპლიკაციის ორი სხვადასხვა მიმოწერა. ერთ-ერთ მათგანში ჩანს, რომ შპს „ოლსერვისგრუპის“ წარმომადგენლის მიერ ადრესატს (გ.) გაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ მონაწილეობით მიმდინარე დავაზე კონკრეტული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ეცნობა, რომ „

“[2]. დამატებით, წარმოდგენილია

[2] აღნიშნულ შეტყობინებაში საუბარია სასარგებლო მოდელის პატენტთან დაკავშირებულ დავაზე. უფრო კონკრეტულად, 2025 წლის 6 ოქტომბერს შპს „ოლსერვისგრუპმა“ სააგენტოში წარმოადგინა საჩივარი (N01/5908), სადაც მოპასუხედ დასახელებული იყო შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსი“ და მომჩივანი მიიჩნევდა, რომ მოპასუხის მხრიდან ილახებოდა მისი რეპუტაცია კლიენტებისადმი არასწორი ინფორმაციის მიწოდებით. საუბარი შეეხებოდა იმ ფაქტს, რომ მოპასუხე და მისი წარმომადგენელი (იურიდიული კომპანია) შპს „ოლსერვისგრუპის“ მომხმარებლებს აწვდიდა ინფორმაციას, რომ სასარგებლო მოდელის პატენტზე („კოლექტიური სარგებლობის ელექტრონული საფულით მომსახურეობის სისტემა“ (U 2021 2069 Y) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსი“ ფლობდა განსაკუთრებულ უფლებებს და მომჩივანი

„ეკრანის ანაბეჭდი“, სადაც ჩანს, რომ (კონტაქტის დასახელება -) დოკუმენტს (სასამართლო აქტს) უგზავნის ადრესატს, რომელიც პასუხობს, რომ

მომჩივანი საჩივარში აღნიშნავს, რომ სადავო კომუნიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდებოდა სასარგებლოს მოდელის პატენტზე დაფუძნებულ პრეტენზიებს და შპს „სითიქომის“ მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელების განსაკუთრებული უფლების არსებობის შესახებ მტკიცებებს“[3].

<u>ბ) კონკრეტული პირებისგან მიღებული შეტყობინებები</u> - საჩივარში მომჩივანი, ასევე, მიუთითებს რამდენიმე კლიენტისგან მიღებულ შეტყობინებას, რომ მათ სხვადასხვა ფორმით (სატელეფონო კომუნიკაცია/ელექტრონული ფოსტა) დაუკავშირდა მოპასუხე. აღნიშნული დოკუმენტაცია, საჩივრის ავტორის განმარტებით, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში ადასტურებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

კერძოდ, შ.პ.-ს მხრიდან გავრცელებული ინფორმაციით, მას სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით დაუკავშირდნენ „ “[4] და განუცხადეს, რომ საპატენტო დავა სასამართლოში დასრულდა შპს „სითიქომის“ სასარგებლოდ და შესთავაზეს მათთან გადასვლა.

ასევე, სააგენტოში წარმოდგენილ მასალებში მითითებულია ლ.კ.-ს შეტყობინება, სადაც იგი მიუთითებს, რომ მიიღო წერილი იურიდიული კომპანიისგან. ამასთან, ლ.კ. ერთმანეთთან აიგივებს შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსსა“ და შპს „სითიქომს“[5]. იმავე წერილზეა საუბარი, ასევე, სხვა პირის მიერ (თ.ფ.) მომჩივნისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში.

არამართლზომიერად (შესაბამისი ლიცენზიის გარეშე) იყენებდა ამ პატენტს საკუთარი მომსახურების გაწევისთვის. აღნიშნულ საქმეზე სააგენტოს ხელთ არსებული მასალებით დადგინდა, რომ სასამართლო დავა იყო მიმდინარე (გასაჩივრებული) და არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც აღდგენილი იქნებოდა შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ განსაკუთრებული უფლებები U 2021 2069 Y პატენტზე. უფრო ვრცლად აღნიშნულ საქმეზე იხილეთ სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 24 ივნისის N04/986 ბრძანება (https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/php6jXdzZ.pdf [19.10.2026])

[3] საუბარია წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 სქოლიოში მითითებულ პატენტზე და მასთან დაკავშირებით არსებულ დავაზე

[4] წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აღნიშნული კომუნიკაცია განხორციელდა ტელეფონის მეშვეობით და მისი ზუსტი შინაარსი არაა ცნობილი

[5] აღნიშნული წერილი გაგზავნილი იყო შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ სახელით

გარდა ამისა, საქმეზე წარმოდგენილია ერთ-ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის (ქ.ლ.) მიერ მიწოდებული ელექტრონული ფოსტის „ეკრანის ანაბეჭდი“, სადაც აღნიშნულია, რომ სითიქომი ზარების, მეილზე მოწერის და ოფიციალური წერილის გაგზავნის სახით ცდილობდა აღნიშნულ პირთან დაკავშირებას.

გარდა აღნიშნული გარემოებებისა, მომჩივანი მიუთითებს, რომ კიდევ ერთ-ერთ მისამართზე არსებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარესაც დაუკავშირდა მოპასუხე და აცნობა, რომ , თუმცა აღნიშნულმა პირმა უარი განაცხადა მასსა და კომპანიას შორის არსებული კომუნიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები მომჩივნის მიერ გამოყენებაზე. შესაბამისად, სააგენტოში ამ გარემობების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანი მიიჩნევს, რომ შპს „სითიქომის“ მიერ მის კლიენტებთან (როგორც არსებულ, ასევე, პონტენციურ) გავრცელებული ინფორმაცია მის *„საქმიანობას წარმოაჩენდა, როგორც სამართლებრივად პრობლემურს ან აკრძალულს, აჩენდა ეჭვს მისი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით და მომხმარებლებში ქმნიდა შიშს მათ მიერ აკუმულირებული თანხების უსაფრთხოებაზე“.*

მომჩივანმა დამატებითაც წარმოადგინა პოზიცია[6], რომლითაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ერთობლიობაში ადასტურებს მოპასუხის მიერ სადავო ქმედების განხორციელებას. კერძოდ, მტკიცებულების ნაწილი ახდენს კომუნიკაციის წყაროს იდენტიფიკაციას, ასევე, ხდება გამოყენებული საკომუნიკაციო არხის იდენტიფიცირება და ამ არხებით გავრცელებული შეტყობინების შინაარსი.

მომჩივანი მიუთითებს, რომ მათი საქმიანობა დამყარებულია მომხარებლის/კლიენტის მხრიდან არსებულ ნდობაზე. შესაბამისად, მოპასუხის მიერ ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მომხმარებელს უქმნის წარმოდგენას, რომ შპს „ოლსერვისგრუპის“ საქმიანობა შეიძლება შეწყდეს და მათი თანხები (რომელთა აკუმულირებასაც ახდენს მომჩივანი) შეიძლება გაიყინოს ან დაიკარგოს, რეპუტაციას ულახავს მომჩივანს. მომჩივანი, ასევე, მიიჩნევს, რომ რეპუტაციული ზიანი არის არა აბსტრაქტული, არამედ რეალური, ვინაიდან მომხმარებლებმა არაერთხელ მოითხოვეს მათგან განმარტებების გაკეთება

[6] სააგენტოში შემოსული N01/8966 წერილი (06.10.2026)

კომპანიის საქმიანობის კანონიერების, მიმდინარე სასამართლო დავებისა და მათ მიერ აკუმულირებული თანხების უსაფრთხოების შესახებ.

მომჩივანი, როგორც აღინიშნა, მოპასუხის ქმედებებს მიიჩნევს, ასევე, კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევადაც. კერძოდ, იგი თვლის რომ WhatAspp საერთო ჯგუფში და პირადი შეტყობინებების მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაცია არა მარტო რეპუტაციას ულახავდა, არამედ მცდარი ინფორმაციით მომხმარებლის ეკონომიკური ქცევის შეცვლის მცდელობის ნიშნებსაც შეიცავდა და შეიცავს.

1.3. მოპასუხის პოზიცია

გამომდინარე იქედან, რომ საჩივარი აკმაყოფილებდა ფორმალური დასაშვებობის კრიტერიუმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით იგი გადაეგზავნა მოპასუხე მხარეს გასაცნობად და საკუთარი პოზიციის წარმოსადგენად[7]. მოპასუხემ საკუთარი პოზიცია სააგენტოს წარმოუდგინა[8], სადაც იგი არ ეთანხმება მომჩივნის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებს.

მოპასუხე პირველ რიგში მიუთითებს, რომ შპს „ოლსერვისგრუპი“ საკუთარ პოზიციას ამყარებს იმით, რომ მოპასუხის მიერ თითქოსდა არასწორი ინფორმაციის გავრცელება ეხება ლიცენზიას და მომსახურების გაწევას ლიცენზიის საფუძველზე[9]. როგორც მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2026 წლის 29 ივლისის განჩინებით ძალაში დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქპატენტის 2022 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება ხელახალი ექსპერტიზის საფუძველზე პატენტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. აქედან გამომდინარე, მოპასუხის განმარტებით, მომჩივნისთვის ცნობილი იყო, რომ პატენტის მიმდინარე სტატუსი არ ყოფილა გაუქმებული. შესაბამისად, ამ გარემოების გამოყენება საჩივარში მითითებული პოზიციის დამადასტურებლად უსაფუძვლოა, ისევე, როგორც მომჩივნის მცდელობა მოპასუხე არაკეთილსინდისიერად წარმოაჩინოს.

---

[7] სააგენტოს 2026 წლის 15 სექტემბრის N02/6262 და 8 ოქტომბრის N02/6951 წერილები

[8] სააგენტოში შემოსული N01/9735 წერილი (26.10.2026)

[9] წინამდებარე გადაწყვეტილების წინა სქოლიოებში მითითებულ პატენტზე ლიცენზიასთან დაკავშირებით

შპს „სითიქომი“ აღნიშნავს, რომ მომჩივნის განცხადებები, თითქოს იგი *„ცრუ ინფორმაციასა“* და *„ყალბ განცხადებებს“* ავრცელებდა შპს „ოლსერვისგრუპზე“, სინამდვილეს არ შეესაბამება და მომჩივანი ვერ მიუთითებს, თუ რაში გამოიხატება ინფორმაციის სიცრუე.

მოპასუხე პირდაპირ ეხმიანება WhatAspp ჯგუფში გავრცელებულ შეტყობინებას და აღნიშნავს, რომ ხსენებულ შეტყობინებაში არ ფიგურირებს მომჩივნის დასახელება და იგი ზოგადი ხასიათის მესიჯს წარმოადგენს უშუალოდ შპს „სითიქომის“ შესახებ. იგი არ მიემართებოდა არცერთ კომპანიას და არც რომელიმე კონკურენტის იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდა. ამასთან, შეტყობინებაში იმის ხაზგასმა, რომ შპს „სითიქომი“ , წარმოადგენს არა კონკურენტის დისკრედიტაციას, არამედ საკუთარი მომსახურების უპირატესობის წარმოჩენას.

მოპასუხე წერილობით პოზიციაში, ასევე, ერთმანეთისგან მიჯნავს ფაქტებს (სასამართლო დავის არსებობას და ლიცენზიის ფლობას) და სამართლებრივი რისკების შეფასებას (არალიცენზირებული საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვას) და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პატენტზე განსაკუთრებული უფლებების მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მისი კუთვნილი პატენტის გამოყენების აკრძალვა მოითხოვოს და თუ ამგვარ გამოყენებას ახდენს კომპანია, რომელიც მობინადრეთა თანხების აკუმულირებას ახორციელებს, რასაკვირველია, არალიცენზირებული გამოყენება საფრთხეს შეუქმნის შეგროვებულ თანხებს. შესაბამისად, გაფრთხილება მომხმარებელთა ინტერესების დაცვას ემსახურებოა და არ წარმოადგენს კონკურენტის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

შესაბამისად, მოპასუხის მოსაზრებით, მომჩივნის მიერ მითითებულ კომუნიკაციებში საუბარია ზოგადად ლიცენზიის არსებობაზე და მომხმარებელთა გაფრთხილებაზე იმ რისკებთან დაკავშირებით, რაც არალიცენზირებული კომპანიის მიერ თანხების შეგროვებას ახლავს თან.

მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის დადგენისთვის *„ადრესატი (ვისაც მიემართება გავრცელებული ცნობები) მომხმარებლისთვის უნდა იყოს აღქმადი და იდენტიფიცირებადი. ზოგადი სახის განმარტებები, რომლებიც არ იძლევა ეკონომიკური აგენტის იდენტიფიცირების საშუალებას, ვერ შეფასდება დისკრედიტაციად*“.

რაც შეეხება კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევას, მოპასუხე აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ნორმის შემადგენლობა მოითხოვს არასწორი ინფორმაცია იყოს გადაცემული მომხმარებლისთვის და ამ ინფორმაციის გადაცემამ გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგოს მომხმარებელს. მოპასუხის პოზიციით, მათი მხრიდან არ მომხდარა არასწორი ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, საქმეში არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ მომხმარებლის ქცევა შეიცვალა მოპასუხის ქმედების შედეგად. უფრო მეტიც, ერთ-ერთ იმ მისამართზე, რომელზეც მომჩივანი მიუთითებს თავის მტკიცებულებებით, მოპასუხე საერთოდ არ უწევს მომსახურებას. ხოლო სხვა მისამართებზე, სადაც წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების შემდეგ ხელშეკრულება არ გაფორმდა მომჩივანთან, არ დასტურდება რომ ეს მოპასუხის მიზეზით მოხდა.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა.

კანონის 11³ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება,

რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო საჩივრის მიღების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - ,,პროცედურა“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნული მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო, ასევე, აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში. ასევე, პროცედურის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.3. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია პარიზის კონვენციის მიხედვით

„სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის “ (1967) (შემდგომში - „კონვენცია“) პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ქმნიან სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია: პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.

კონვენციის 10bis მუხლი ეხება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ჩაითვლება კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვეულებს. მუხლში განმარტებული არ არის, თუ რა იგულისხმება „სამეწარმეო ან კომერციულ პატიოსნებაში“, შესაბამისად, აღნიშნული ტერმინის განმარტება ეროვნული სასამართლოების და ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებაშია.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სააგენტო საქმის მოკვლევას იწყებს საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი კანონის სავარაუდო

დარღვევის არსებობის თაობაზე. სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მოკვლევის დასაწყებად მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა კანონის 11[3] მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) შემადგენლობაში. აღნიშნული გონივრული ეჭვის არსებობისთვის კი უმნიშვნელოვანესია საჩივარი იყოს დასაბუთებული და წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდეს მასში მითითებულ გარემოებებს. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ფარგლებში გონივრული ეჭვის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, რომ სააგენტოს ხელთ ჰქონდეს სარწმუნო მტკიცებულება იმისა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ევროპული სასამართლო პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც როდესაც საქმე ეხება კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის დადგენას კონკურენციის ორგანომ დარღვევა უნდა დაადგინოს ისეთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ დარღვევის არსებობის სამართლებრივი წინაპირობები დააკმაყოფილოს[10]. შესაბამისად, სააგენტო აღნიშნავს, ერთი მხრივ, აუცილებელია კონკურენციის კანონმდებლობის მიზნების დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, საქმეში არსებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების სრულყოფილად შესწავლა და მაღალი სტანდარტით შეფასება გონივრული ეჭვის დასადგენად.

ამდენად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა შეფასდეს საჩივარში დასმული საკითხის სამართლებრივი ხასიათი და მისი მიმართება კონკურენციის კანონმდებლობასთან. სააგენტო წარმოადგენს საქართველოში კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს. იგი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მის ხელთ არსებული ინფორმაციის/მტკიცებულებების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული

[10] იხ. საქმე C-185/95 PECLI:EU:C:1998:608, პარ. 58; ასევე, C-49/92 P,ECLI:EU:C:1999:356, პარ. 86

ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ" ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება. ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპის კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სააგენტო მატერიალური დასაშვებობის შესწავლის პროცესში შეზღუდულია კანონმდებლობით დადგენილი ვადებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოში წარმოდგენილი ნებისმიერი საჩივარი გადის შემოწმების (ფორმალური და მატერიალური დასაშვებობა) ეტაპს და სააგენტო, კონკრეტული საქმის ფარგლებში, ინფორმაციის/მტკიცებულებების შეფასებისა და საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლის შედეგად, იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების/არდაწყების შესახებ. საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე იკვეთებოდეს კანონმდებლობის დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობა. განსახილველ

შემთხვევაში საჩივარში მოცემული გარემოებები გაანალიზებულია სწორედ გონივრული ეჭვის სტანდარტის არსებობის ჭრილში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივნის მიერ სააგენტოში 2025 წელს წარმოდგენილი იქნა მსგავსი შინაარსის საჩივარი, რომელიც სხვა მოპასუხეს შეეხებოდა და საქმეზე საბოლოოდ საქმის მოკვლევა შეწყდა[11]. სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ახსენოს აღნიშნული საქმე, ვინაიდან დასრულებულ, ასევე, მიმდინარე საქმეში არსებული მტკიცებულებები ფაქტობრივად ერთი და იგივეა.

მართალია, მომჩივანი წარმოადგენს მხარეს და იგი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, და ა.შ. თუმცა სააგენტო, როგორც კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანო, თითოეულ საქმეზე ინდივიდუალურად აფასებს და აანალიზებს, რამდენად აქვს მტკიცებულებითი ძალა და ადასტურებს თუ არა რაიმე გარემოებას ესა თუ ის დოკუმენტაცია (მათ შორის, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში).

3.2. კანონის 11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში მომჩივანი მიუთითებს, რომ შპს „სითიქომი“ მომჩივნის დისკრედიტაციას ახდენს მისი საქმიანობის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელებით. ამასთან, მოპასუხის ქმედება წარმოადგენს შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გადაცემასაც და შესაბამისად, საჩივრის ავტორის განცხადებით ირღვევა კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები.

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო ამოწმებს შესაძლოა თუ არა ადგილი ჰქონდეს საჩივარში მითითებული მუხლ(ებ)ის შემადგენლობის არსებობის სავარაუდო ნიშნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი (actori incumbit probatio). მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთებულობის ვალდებულება. აღნიშნული გულისხმობს, რომ თავად მომჩივანი განსაზღვრავს

[11] იხილეთ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 24 ივნისის N04/986 ბრძანება (https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/php6jXdzZ.pdf [19.10.2026])

განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, და ა.შ. იგი ატარებს, ასევე, დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.

კანონის 11^3 მუხლის პირველი ნაწილი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი კი მოიცავს ზოგადად განმარტებას იმისას, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება ქმედება არაკეთილსინდისიერ კონკურენციად და ასევე, მიუთითებს იმ სამაგალითო ქმედებებზე, რომლებიც წარმოადგენენ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. გამომდინარე იქიდან, რომ ეს სიაც არ არის ამომწურავი, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია შესაძლოა განხორციელდეს ისეთი ქმედების მეშვეობითაც, რომელიც არაა ჩამონათვალში მოცემული, თუმცა, აკმაყოფილებს ამ მუხლის მე- 2 ნაწილით განსაზღვრული ზოგადი დეფინიციის კრიტერიუმებს.

კანონის 11^3 მუხლის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისთვის ეკონომიკური აგენტის ქმედება:

<u>ა) უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს</u> - კანონი, ისევე, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას.ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

<u>ბ) უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს</u> - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“

ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

გ) უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს - კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს.

ამასთან, ზემოთ მითითებული სამივე ელემენტი უნდა კმაყოფილდებოდეს კუმულატიურად.

როგორც აღინიშნა, კანონის 11^3 მუხლი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგად განმარტებასთან ერთად, ასევე, მოიცავს სამაგალითო სიას ქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენს კონკურენციის კანონის დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი საუბრობს აღნიშნულ სიაში მითითებულ ორ ქმედებაზე - 1) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის ან/და მომსახურების თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს და 2) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის დისკრედიტაციას.

სააგენტომ შეისწავლა და გაანალიზა მომჩივნის მიერ მითითებული გარემოებები, ასევე, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და ყოველივე აღნიშნულის შეჯერების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მომჩივანი პრობლემურ ქმედებად და ზემოთ მითითებული ქვეპუნქტების დარღვევად მიიჩნევს მოპასუხის მიერ განხორციელებულ კომუნიკაციებს (რომლებსაც ერთგვაროვანი შინაარსი ჰქონდა). კერძოდ, მისი განცხადებით შპს „სითიქომის“ შეტყობინებები შეეხებოდა მომჩივნის საქმიანობის კანონიერებას, საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასა

და მის მიერ ადმინისტრირებული თანხების უსაფრთხოებას. აღნიშნული ქმედებით მოპასუხე ახდენს როგორც მომჩივნის დისკრედიტაციას, ასევე, მომხმარებელი შეჰყავს შეცდომაში და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს.

ეკონომიკური აგენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციით დაცული უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის 17-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. მაგრამ უფლებათა უმრავლესობის მსგავსად, გამოხატვის თავისუფლებაც არ არის აბსოლუტური უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია სხვადასხვა შემთხვევაში, ლეგიტიმური ინტერესის შესაბამისად. ერთ-ერთი ასეთი ლეგიტიმური ინტერესია სხვათა უფლებების დაცვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ,,გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც გამოხატვა კვეთს ზღვარს, გავლებულს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვის უფლებას შორის“[12]. საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ „გამოხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამოხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს[13]. კანონის 11^3 მუხლი პირდაპირ ადგენს გამოხატვის თავისუფლების კანონისმიერ შეზღუდვას, როდესაც საქმე ეხება კონკურენტი ეკონომიკური აგენტის უფლებების შელახვას. თუმცა, აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაციისას, სააგენტო ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას და შესაბამისად, ცდილობს საქართველოს კანონმდებლობით დაცულ ღირებულებებს შორის სწორი ბალანსის დაცვას[14].

---

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №2/482,483,487,502

[14] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 14 სექტემბრის N04/130 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება (ჯი-თი მოტორსის საქმე), გვ.15

კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია ადგილი ჰქონდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის ფაქტს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენების გზით[15].

აღნიშნულ შემთხვევას ადგილი აქვს ძირითადად ისეთ დროს, როცა ეკონომიკური აგენტი საკუთარი საქმიანობისა თუ პროდუქტის (მომსახურების) შესახებ შეცდომაში შემყვან ინფორმაციას გადასცემს მომხმარებელს. WhatsApp ჯგუფში გაგზავნილი შეტყობინება წარმოადგენს კომუნიკაციას მომხმარებელთან (კონკრეტულ მისამართზე არსებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან). კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ადგილი აქვს კომუნიკაციის ფაქტს. თუმცა, მნიშვნელოვანია საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით გაანალიზდეს, რამდენად წარმოადგენს აღნიშნული კომუნიკაცია შეცდომაში შემყვანს და აქვს თუ არა მას მომხმარებლის ქცევის შეცვლის ეფექტი.

სადავო შეტყობინებაში აშკარად ჩანს, რომ მოპასუხის მიერ გადაცემული ინფორმაცია ეხება მისსავე საქმიანობას და იგი მიუთითებს, რომ ლიცენზიის საფუძველზე წარმოადგენს უფლებამოსილ სუბიექტს, გასწიოს მომსახურება. საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით შეფასებით, აღნიშნული მიემართებოდა შპს „სითიქომის“ მიერ „კოლექტიური სარგებლობის ელექტრონული საფულით მომსახურეობის სისტემით“ (U 2021 2069 Y) გამოყენების შესახებ ლიცენზიას, რომელიც მოპასუხეს მიღებული აქვს ხსენებული პატენტის მფლობელის, შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ მიერ. მართალია U 2021 2069 Y სასარგებლო მოდელზე პატენტთან დაკავშირებით მიმდინარეობდა დავა, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მოპასუხესა და შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ შორის არსებობდა გარკვეული სახის სამართლებრივი ურთიერთობა პატენტზე განსაკუთრებული უფლებების გამოყენების ნაწილში, რაც საფუძვლად დაედო მის შეტყობინებას. შესაბამისად, კომუნიკაციის ის შინაარსი, რომელიც ლიცენზიის საფუძველზე საქმიანობას ეხება, ვერ ჩაითვლება შეცდომაში შემყვანად. გარდა ამისა, საჩივარსა და მის დანართებად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკვეთება სხვა რაიმე გარემოება, რომელიც მიუთითებდა, რომ მოპასუხე შეცდომაში შემყვანი კომუნიკაციის გზით ცდილობდა მომხმარებლის ქცევის შეცვლას. უფრო მეტიც, საქმეზე მტკიცებულებად წარმოდგენილ ერთ-ერთ დანართში ჩანს, რომ მომხმარებელი, მიუხედავად WhatsApp ჯგუფში მიღებული შეტყობინებისა, არ

[15] იქვე, გვ. 17

გადასულა შპს „სითიქომთან“ და მომსახურებას იღებდა ისევ მომჩივანი ეკონომიკური აგენტისგან. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს, რომ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას და მისი კომერციული ქცევის შეცვლას ადგილი არ ჰქონია სადავო შეტყობინების საფუძველზე.

რაც შეეხება კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემადგენლობას, ამ შემთხვევაში ნორმის ფორმულირება მოითხოვს სახეზე იყოს დისკრედიტაცია, რაც გულისხმობს კონკრეტული სუბიექტის შესახებ ფაქტების ისეთ გავრცელებას, რომელიც ლახავს მის ავტორიტეტს, პრესტიჟსა და საქმიან სახეს. ამასთან, სააგენტოს პრაქტიკის შესაბამისად, ასეთი ფაქტები, როგორც წესი, უნდა იყოს არასწორი და არ შეესაბამებოდეს სიმართლეს[16].

აქვე აღსანიშნავია, რომ პირის დისკრედიტაციასა და რეპუტაციის შელახვას კავშირი აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სიკეთესთან და კონკურენტის დისკრედიტაციის (როგორც მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების) განმარტებისას მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ის მიდგომები, რომელიც დამკვიდრებულია პირის ღირსებისა და პატივის დაცვასთან დაკავშირებით. საქართველოს სასამართლო პრაქტიკით, ერთმანეთისგან იმიჯნება „აზრი“ და „არსებითად მცდარი ფაქტი“. სუბიექტის ღირსების/პატივის (საქმიანი რეპუტაციის) შელახვა შესაძლებელია მხოლოდ არსებითად მცდარი ფაქტის არსებობის შემთხვევაში. ფაქტები გამომდინარეობს ობიექტური გარემოებებიდან და შესაძლებელია მათი მართებულობის/სისწორის გადამოწმება. რაც შეეხება აზრს იგი წარმოადგენს მისი გამომხატველი პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას და შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად სწორია ან არასწორია იგი სინამდვილესთან მიმართებით[17]. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო აღნიშნავს, რომ კონკურენტის დისკრედიტაციას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მის შესახებ არასწორი ფაქტების გავრცელება.

საჩივრის ფარგლებში შესწავლილი მასალების მიხედვით არ დგინდება შპს „ოლსერვისგრუპის“ შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელების ნიშნები. უფრო

---

[16] აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ: საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 მაისის N04/132 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება (დიზაინ ჰაუსის საქმე), გვ. 20-21

[17] ვრცლად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა: სუსგ №ას-1304-1242-2014, 27.052015; სუსგ №ას-103-98-2014, 28.07.2016; Nას-1278-1298-2011, 20.02.2012.

მეტიც, პირდაპირ მომჩივანზე საუბარი მხოლოდ ერთ შემთხვევაშია და ისიც მტკიცებით ფორმაში არ მიუთითებს ისეთ ინფორმაციაზე, რომელთა გადამოწმება და სისწორის შეფასება შეიძლება. შესაბამისად, საქმეში არ იკვეთება რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მოპასუხის დისკრედიტაციას. აქვე აღსანიშნავია, რომ მომჩივნის განცხადებით მოპასუხის ქმედებები უნდა შეფასდეს ერთობლიობაში და ამის საფუძველზე დადგინდეს კანონის დარღვევა. სააგენტო აღნიშნულთან დაკავშირებით ხაზს უსვამს, რომ საქმის შესწავლის შედეგად, მათ შორის, გარემოებების ერთობლივად შეფასების საფუძველზე, არ იკვეთება კონკურენტის დისკრედიტაციის ნიშნები.

დასკვნა

კონკურენციის სამართლის მიზანი ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა და დაცვაა. სააგენტო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. ამ მიზნით იგი აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოთხოვილი/მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებებისა და მსჯელობის გათვალისწინებით, სააგენტო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება კანონის 11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობა. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეუწონლად მიიჩნევს კანონის 11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საქმის მოკვლევის დაწყებას.

სარეზოლუციო ნაწილი

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ გადაწყვიტა:

1. დაუშვებლად იქნას ცნობილი შპს „ოლსერვისგრუპის“ (ს/ნ: 406233552) 2026 წლის 14 სექტემბრის N01/8346 საჩივარი;

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე;

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე